ავტობიოგრაფია

მე, მაია ზარიძე დავიბადე 1977 წლის 15 დეკემბერს. 1995 წელს დავამთავრე თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა. 2003 წელს დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი, ფრანგული ენის მასწავლებლის კვალიფიკაციით. 2004-2005 წლებში ვმუშაობდი ენდოსკოპიური ქირურგიისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრში „იუნონა", მენეჯერის პოზიციაზე. 2005-2011 წლებში ვმუშაობდი სს „თელასი"-ს გაყიდვების დეპარტამენტში ელ. ენერგიის შეზღუდვის ტექნიკური ბაზის ოპერატორის პოზიციაზე. 2011 წელს ვმუშაობდი იუსტიციის სახლში კონსულტანტის პოზიციაზე. 2013-2019 წლებში ვმუშაობდი სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის სასწავლო პროგრამების განყოფილების სპეციალისტის პოზიციაზე. 2014 წელს დავამთავრე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა, მონიჭებული მაქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტში. 2019-2021 წლებში ვმუშაობდი ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის საარჩევნო კომისიების მართვის განყოფილების უფროსის პოზიციაზე.

ზემოთ აღნიშნული პოზიციების პარალელურად, 2003-2006 წლებში ჩატარებული ყველა არჩევნებისას ვმუშაობდი ცესკოს ტრენინგ-ოფიცრის, ხოლო 2006-2012 წლებში ცესკოს ტრენინგ პროგრამების რეგიონული კოორდინატორი (ფასილიტატორი) პოზიციაზე. გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში, კერძოდ 2009 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის ხელშეწყობით, საქართველოში დაიწყო და განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა პროფესიული განვითარების საერთაშორისო პროგრამა (BRIDGE), რომლის ფარგლებშიც 2009-20016 წლებში მონაწილეობა მივიღე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისთვის ჩატარებული პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში, 2013 წელს მომენიჭა BRIDGE-ის სრულად აკრედიტებული ფასილიტატორის სტატუსი. 2003 წლიდან გამართულ ყველა არჩევნებზე ვახორციელებდი ცესკოს წარმომადგენლობას ყველა დონის საარჩევნო კომისიაში. 2021 წლიდან ვარ ცესკოს წევრი. მყავს ერთი შვილი.

ხელმოწერა

თარიღი: 22.07.2022